კონსულტანტი ტექნიკური დახმარების მიმართულებით

<u>შესავალი</u>

ლტოლვილთა დანიის საბჭო ეხმარება ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით: ჩვენ ვუზრუნველყოფთ მათ სასწრაფო გადაუდებელ დახმარებას, უფლებების დაცვასა და შესაძლებლობების განვითარებას უკეთესი მომავლისათვის. ჩვენ ვმუშაობთ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში იძულებითი გადაადგილების მთავარ არეალებში და იმ ქვეყნებში, სადაც ლტოლვილები არიან განსახლებული. ადგილობრივ თემებთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩვენ ვიღწვით მნიშვნელოვანი და მდგრადი გადაწყვეტილებებისათვის. ჩვენ ვმუშაობთ წარმატებულ ინტეგრაციასა და როცა შესაძლებელია დაბრუნების უზრუნველყოფაზე.

ლტოლვილთა დანიის საბჭო დაარსდა 1956 წელს დანიაში, მას შემდეგ გადაიქცა საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციად, რომელსაც ჰყავს 7000-მდე თანამშრომელი და 8000-მდე მოხალისე. ჩვენი ხედვაა ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა ყველა გადაადგილებულისათვის.

ჩვენი ყველა ძალისხმევა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს: ჰუმანურობა, პატივისცემა, დამოუკიდებლობა და ნეიტრალურობა, მონაწილეობა, პატიოსნება და გამჭვირვალობა.

1998 წლიდან საქართველოში იქმნება პროგრამები, სადაც ყველა აქტივობაში ე.წ უფლებების დაცვის პრინციპებია ინტეგრირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას, რათა გავიღრმაოთ ჩვენი ცოდნა და ვუზრუნველყოთ, რომ გრძელვადიანი გადაწყვეტილებები იქნას მიღებული იძულებით გადაადგილებული პირების, ე.წ დაბრუნებულებისა და მასპინძელი თემების მიმართ. ასევე, ვუზრუნველყოთ მათი აქტიურობა უფლებების დასაცავად, სამართლებრივი დახმარებისა და ცნობიერების ამაღლების გზით.

ლტოლვილთა დანიის საბჭოს ძირითადი დონორები საქართველოში 2019 წელს არიან ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, გერმანიის განვითარების ბანკი (KFW), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და ევროკავშირი.

პროგრამები ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად სექტორებზე, რომლებიც თანხვედრაშია ლტოლვილთა დანიის საბჭოს მანდატთან უზრუნლველყოს გრძელვადიანი გადაწყვეტილებები გადაადგილებული მოსახლეობისათვის:

- თავშესაფარი და მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურა (სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები);
- საარსებო წყაროები (თვითკმარობა, მცირე ბიზნესისა და მცირე და საშუალო წარმოების განვითარება, დასაქმება და ა.შ.);
- განათლებასა და ადგილობრივ სერვისებზე ხელმისაწვდომობა;
- უფლებებზე ხელმისაწვდომობა (სამართლებრივი დახმარება);
- ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებთა შესაძლებლობების განვითარება და ტექნიკური დახმარება.

<u>მოკლე მიმოხილვა</u>

პროექტის სახელწოდება: სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების ზრდა მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მიზნით.

პროექტი ხორციელდება პროგრამა EPIC-ის ფარგლებში - **„მოწყვლადი გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მონაწილეობა**

სამხრეთ კავკასიაში“ ლტოლვილთა დანიის საბჭოს მიერ GIZ-ის დახმარებით, საქართველოსა და გერმანიის მთავრობების სახელით

მიზანი: ტექნიკური დახმარება – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაძლებლობების განვითარების/ზრდის პროცესის ფასილიტაცია საარსებო წყაროებისა და ეკონომიკური განვითარების სექტორში, როგორც საპილოტე პროექტისა, შემდგომში სხვა სექტორებში ანალოგიური მიდგომების გამოყენების მიზნით.

ხანგრძლივობა: კონტრაქტის ვადა- 6 თვე, 50 სამუშაო დღე (11 მარტი –10 აგვისტო, 2019 წ.)

ღირებულება: 5900 ევრო ხელზე ასაღები/დაბეგრილი თანხა, კონსულტაციის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით.

<u>ზოგადი კონტექსტი</u>

2015 წლიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო მსჯელობა რეფორმის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს დევნილთა სტატუსიდან საჭიროებაზე მორგებული დახმარების პოლიტიკის შემუშავებას.

მინისტრმა დავით სერგეენკომ დაადასტურა სახელმწიფოს ხედვა, კერძოდ ახლად შექმნილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომელმაც აიღო ყოფილი დევნილთა სამინისტროს ვალდებულებები, გააგრძელოს მუშაობა რეფორმის საკითხზე.

მინისტრმა ხაზი გაუსვა რეფორმასთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი სტრატეგიის საჭიროებას, რომელიც ასახავს დევნილებთან კომუნიკაციის საკითხებს და რეფორმის მოდალობის რისკ ანალიზსაც.

რეფორმის განხორციელების ძირითად დაბრკოლებად სამინისტრო ასახელებს სიცხადის ნაკლებობას დევნილის სტატუსთან დაკავშირებით, კერძოდ მატერიალური დახმარების არამატერიალური დახმარებით ჩანაცვლების საკითხს,

აღნიშნული საკონსულტაციო მხარდაჭერა გულისხმობს გარკვეულწილად დევნილთა უფლებების და პრივილეგიების მეინსტრიმინგს, საარსებო წყაროებისა და ეკონომიკური აღდგენის სექტორში ადეკვატური რეკომენდაციების შემუშავების გზით, სამინისტროს ორგანიზაციული განვითარებისათვის.

ძირითადი მიზანია საქართველოს მთავრობის მუშაობის გაძლიერება აღნიშნული მიმართულებით, რათა შემუშავდეს რეფორმის შესაძლო ეფექტების შემამსუბუქებელი ალტერნატივები დევნილებისათვის.

საკონსულტაციო მხარდაჭერა განსაზღვრულია მხოლოდ ერთი სექტორისათვის, მომავალში დევნილთა ინტეგრაციის სხვა მიმართულებებში მისი გამოყენების პერსპექტივით.

<u>საბოლოო პროდუქტები:</u>

1) სამინისტროს შესაძლებლობების კვლევის ჩატარება, რათა იდენტიფიცირებულ იქნას ინსტიტუციურ და ოპერაციულ დონეზე არსებული საჭიროებები და ნაკლოვანებები იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სამინისტროს ვალდებულებებთან მიმართებით. კვლევის ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს დევნილთა ინტეგრაციის სპეციფიური პროგრამების, კერძოდ საარსებო წყაროების სექტორის შედარებით ანალიზს. კვლევა უნდა ჩატარდეს მეორადი მონაცემების განხილვის, ძირითადი ექსპერტული ინტერვიუების, თვითადმინსიტრირებადი კითხვარებისა და გარე დაინტერესებული მხარეების ინტერვიუების კომბინირებული მეთოდოლოგიით;

2) სამუშაო შეხვედის ფასილიტაცია, სადაც წარდგენილი იქნება კვლევის პირველადი შედეგები და რეკომენდაციები სამინისტროს უკუკავშირის მიღების მიზნით;
3) შესაძლებლობების განვითარების დოკუმენტის შემუშავება, რომელიც მოიცავს ტრენინგის გეგმას სამინისტროსათვის, რათა შესრულდეს შესაძლებლობების განვითარების/ტექნიკური დახმარების ძალისხმევა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებთან და ლტოლვილთა დანიის საბჭოსთან აქტიური თანამშრომლობით;
4) სტრატეგიული დაგეგმვის ორდღიანი სამუშაო შეხვედრის ფასილიტაცია, სადაც სამინისტრო იმსჯელებს სტრატეგიულ ხედვაზე, დევნილთა საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის, ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისათვის სხვადასხვა პროგრამებისა და მიდგომების განხორციელების კონკრეტულ ამოცანებზე;
5) სტრატეგიული ჩარჩო-დოკუმენტისა და შესაბამისი ინსტრუმენტების სამუშაო ვერსიის მომზადება (გარკვეული სტანდარტული ოპერაციული პროცედურების გაწერა, ინსტრუქციები და ა.შ.) იდენტიფიცირებულ პრიორიტეტულ მიმართულებებში ლტოლვილთა დანიის საბჭოს გლობალური ეკონომიკური აღდგენის სტრატეგიული ჩარჩო-დოკუმენტისა და ინსტრუმენტების, როგორც სახელმძღვანელო ინსტუმენტების გამოყენებით;

<u>**გრაფიკი:**</u>

პროდუქტები	**სავარაუდო თარიღი**
1. კვლევის ინსტრუმენტები	
1.1 გაცნობითი შეხვედრა GIZ-სა და სამინისტროსთან	15 მარტი 2019
1.2 მეორადი მონაცემების განხილვა	18 მარტი 2019
1.3 სახელმძღვანელო ძირითადი ინტერვიუებისათვის	20 მარტი 2019
1.4 კითხვარი კვლევისათვის	22 მარტი 2019
1.5 დაინტერესებული მხარეების ანალიზი	25 მარტი 2019
2. საველე სამუშაო	
2.1 საჯარო მოხელეების გამოკითხვა	8 აპრილი 2019
2.2 ექსპერტული ინტერვიუები	15 აპრილი 2019
3. პოლიტიკის შემუშავება	
3.1 სამუშაო შეხვედრა	24 აპრილი 2019
3.2 შესაძლებლობების განვითარების დოკუმენტის სამუშაო ვერსია	1 მაისი 2019
3.3 სამუშაო შეხვედრა სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებზე	20 მაისი 2019
3.4 სტრატეგიული ჩარჩო-დოკუმენტის სამუშაო ვერსია	22 ივლისი 2019
4. დასრულება	
4.1 შესაძლებლობების განვითარებისა და სტრატეგიული ჩარჩო-დოკუმენტის საბოლოო ვერსია	29 ივლისი 2019
4.2 ტექნიკური დახმარების საბოლოო ანგარიში	1 აგვისტო 2019